ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2015 წლის 15 ივნისი

ქ. ამბროლაური

,,ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/02/2015, სარეგისტრაციო კოდი 210070000.35.172.016068) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ." ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**"

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2

ფიზიკურ პირთათვის მოსაკრებელი განისაზღვროს 0,50 (ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით თვეში ერთ სულზე და არაუმეტეს ოჯახზე 2 (ორი) ლარისა, ხოლო სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 100000-მდე ქულის მქონე ოჯახებისთვის თვეში ერთ სულზე 0.25 (ოცდახუთი თეთრი) ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ოჯახზე 1 (ერთი) ლარისა."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ამბროლაურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ასლან საგანელიძე**
თავმჯდომარე